№ 198 სექტემბერი 17, პარასკევი 1893 სექტემბერი 17, პარასკევი № 198

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

აზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

## ტფილისი

16 სექტემბერს

რუსეთის მთავრობის სარეფორმო განზრახვათა შორის განსხვავებულის ყურადღების ღირსია ორი პროექტი, რომელიც შეუმუშავებია სამართლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს.

პირველი შეეხება ქალის უფლების გათანასწორებას კაცთან სამკვიდრებელის მისაღებად, და მეორეც—მინიჭებას საერო უფლებისას ზოგიერთ ისეთ ადგილებისათვის, სადაც ჯერ ეს დაწესებულება არ არის შემოღებული.

მთელის განათლებულ კაცობრიობის ნაწილის ყურადღება მიქცეულია აგერ ოც-და-ათი, ორმოცი წელია, რომ ქალის მდგომარეობა გააუმჯობესონ, რომ მას მიანიჭონ ის უფლებანი და სიმართლენი, რომელნიც ეკუთვნის ბუნებით ყოველს ადამიანს, განურჩევლად იმისა, კაცი იქმნება იგი, თუ ქალი. მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნემ მრავალი შემაძრწუნებელი დაწესებულება და უსამართლობა მოსპო, მაგრამ ქალიკი თითქმის ისეთსავე მონად დარჩა, როგორც იყო ძველს დროს.

ნივთიერად გათანასწორება ორისავე სქესისა კანონის წინაშე ერთი უმთავრესი და უპირველესი ღონისძიებათაგანია, რათა ქალმა მოიპოვოს საზოგადოებაში შესაფერი ადგილი, რომ შემდეგმა მანდილოსანთა თაობამ მიიღოს ჯეროვანი მონაწილეობა საზოგადო ცხოვრებაში და გაამრავლოს შთამამავლობის ბედნიერება.

გათანასწორება, რომელსაც თხოულობს სამართლის სამინისტრო, სრულიად ერთთავად დააყენებს ქალს ისეთს საფუძვლიან მდგომარეობაში, რომ მას აღარ დასჭირდება ათასი და ათი ათასი ხერხის ხმარება, რათა დააკმაყოფილოს ხშირად კანონიერი თავის სურვილი.

ეს უფლების უქონელობა ხდის დღეს ქალს სუსტად, და, ვინ არ იცის, რომ სისუსტე ცუდი თვისებაა თავისუფლებისა და სამართლიანობის დასაცველად?

რასაკვირველია, ამ განზრახულ პროექტის გაკანონიერებით არ გათანასწორდება ორი სქესი, მაგრამ ნივთიერად უზრუნველობა ისეთი საძირკველია ქალის კარგ მდგომარეობის დასაარსებლად, რომ დანარჩენი უფლებანი ამას თავის თავად მოჰყვება.

მთელი სოციალური ბრძოლა სხვა-და-სხვა წოდებათა ერთმანერთთან, მთელი ეს რევოლიუციები, სახელმწიფო წეს-წყობილების გაუქმება ჭ დანგრევა ყოველთვის ყოფილა გამოწვეული, უმთავრესად, ეკონომიურ უთანასწორობის მიზეზით.

ასე ყოფილა აქამდის და ასე იქნება იმ დრომდე, სანამდი ადამიანის სინიდისი და გონება ითმენს ქვეყნის ქონების უსამართლო განაწილებას.

ხალხის ეხლანდელ ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობაზედ ისეთმა ზომიერმა და ფრთხილმა მეცნიერმა, როგორიც იყო ჯონ სტუარტ მილლი, ასე სთქვა: „მე არ ვიცი, როგორი წესი და რიგი დაარსდება ეხლანდელ საზოგადოების ნანგრევზედ, მაგრამ იმ წესს და დამოკიდებულებას, რომელიც ეხლა არის, მაინც ყველაფერი ემჯობინება, რაც უნდა წესი და რიგი დამყარდესო“.

როდესაც ისეთი კაცები, როგორიც არის ინგლისის ფილოსოფოსი, ამისთანა რასმეს იტყვიან, მაშინ საგულისხმოა, რომ ცვლილება მომავალში აუცილებელია.

ამ საერთო და დიდ მნიშვნელობის მექანიზმში, რომელსაც ეწოდება საზოგადოებრივი ცხოვრება, ქალების უფლების გათანასწორება კაცებთან ნივთიერად, ერთ საუკეთესო ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ღმერთმა ნუ ჰქნას, კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ამ პროექტის განხილვა, უარი ეთქვას და მით კიდევ დაეგვიანებინოს ერთისა დიდის და სამართლიანის საქმის აღსრულება.

მეორე საგანზედ, ერობის შემოღებაზე, ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგში.

მეველე

---

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

სექტემბრის 15-ს ტფილისში არავინ გამხდარა ავად.

ბაქოში სექტემბრის 10-ს დილით სულ 4 ავადმყოფი იყო; ამ დღეს კიდევ ავად გახდა 5 და გარდაიცვალა 5; სექტემბრის 11-ს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; სექტემბრის 12 ხოლერით ავად გახდა 6 და გარდაიცვალა ოთხი; სექტემბრის 13 ავად გახდა 4 და გარდაიცვალა 2.

სექტემბრის 14 დილით სულ 8 ავადმყოფი დარჩა.

---

# ახალი ამბავი

*** სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება, რომ იქ ერთს ოჯახში ორი კაცი გამხდარა ავად სახადით; ამათგან ერთი მორჩენილა კიდეც.

*** ამ თვის 19-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გაემგზავრება ახალქალაქს და მერე ახალციხეს. ახალქალაქში სესია მხოლოდ სამ დღეს დარჩება და შემდეგ დაბრუნდება ახალციხეს, სადაც პირველ ოქტომბრამდე დაჰყოფს. სესიას შეადგენენ: ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ბურგარტი და წევრი ბ-ნი პარჩევსკი; მდივნებად იქმნებიან: ბ-ნნი ოვსიანიკოვი, შატბეროვი და ავალიანი. სესიას ორივე ქალაქში სულ 10 საქმე აქვს გასარჩევი.

*** ოქტომბრის 2-ს სესია გაემგზავრება აგრეთვე კახეთში: თელავს, სიღნაღსა და ზაქათალაში. ამ ადგილებში 30-დე საქმე არის გასარჩევად დანიშნული და სესია დაჰყოფს ის თვემდე.

*** 5-ს ოქტომბერს სესია აპარებს გამგზავრებს აგრეთვე გორს, სადაც დარჩება თვის ბოლომდე და გაარჩევს 35-დე საქმეს.

*** პეტერბურგის საჰიგიენო გამოფენაზედ ამ ჟამად არის კახური ღვინოები თავ. ს. ღ. ანდრონიკაშვილისა და ერევნის გუბერნიის [illegible] ღვინომ დიდი ხანია პეტერბურგში კარგი სახელი გაითქვა და ამ ღვინოს კაცი ადვილად გაარჩევს ვითომ და კახურ ღვინიდგან, რომელსაც ვაჰრები კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში ყიდულობენ და კახურს ღვინოს არქმევენ.

*** ჯიშიან ცხენების სახელმწიფო თავლა ნოემბრის პირველ რიცხვებში გადმოაქვთ დაბა ზურნაბათიდგან (განჯის გუბერნიაში) ტფილისს, ნავთლუღსა და ავლაბარს შუა, ესრედ წოდებულს ძაღლის სოფელს.

---

## მთავრობის განკარგულებანი

გამოცხადდა ახალი დებულება, რომლის ძალითაც სტავროპოლისა და ბაქოს გუბერნიებიდგან, ყუბანის, თერგისა და დაღესტნის ოლქიდგან, იმიერ კასპიის მხრიდგანა და თურქისტანიდგან დამნაშავენი უნდა გაიგზავნონ საცხოვრებლად ორენბურგის გუბერნიაში; ხოლო ტფილისისა, ქუთაისისა, განჯისა და ერევნის გუბერნიიდგანა და ყარსის ოლქიდგან—ასტრახნის გუბერნიაში. ამ ადგილებში უნდა გაიგზავნონ ის დამნაშავენი, რომელთაც გადაეწყვიტათ შორეულ გუბერნიაში გაგზავნა და არა ციმბირი.

---

# დამაკვირდი

მამა-კაცს შეუძლიან ყური არ ათხოვოს ქვეყნის მითქმა-მოთქმას, დედაკაცი-კი უნდა ექრძალებოდეს.

მადამ სტალი

**

უსდგილო ქება სამარცხვინოა მქებარისათვისაც და ქებულისათვისაც.

გრიმ

**

ნამეტანობას უფრო ბევრი კაცი და[illegible]

თეოგანი

---

## კორესპონდენცია

**ქობულეთი**, 13 სექტემბერს. დიდის სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ ქართველ საზოგადოებას შემდეგი სასიამოვნო ამბავი: ამ ზაფხულს ქობულეთის უფროსს თხოვნა მიართვეს მკვიდრ ქართველ მაჰმადიანთ საპატიო კაცებმა: გულო-აღა კაიკაციშვილმა და დედი-აღა ნიჟარაძემ და სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ მისის დახმარებით ქობულეთში ისეთი სკოლა დაგვი-

---

# ფელეტონი

## განახლება საფრანგეთის პარლამენტისა

(წერილი საფრანგეთიდამ) *)

გათავდა დეპუტატთა არჩევანები საფრანგეთში. ერმა, ოთხის წლის სიჩუმის შემდეგ, ხმა ამოიღო, უფლება თვით-მმართველობისა წინ წამოაყენა და თავის მთავრობას დასდო მტკიცე მსჯავრი. ერთს ჩამოართვა მის-მიერ ბოძებული უფლება კანონ-მდებლობისა და განაძევა საპოლიტიკო ასპარეზიდამ; მეორეს უთხრა, შენ ჩასდეგ იმის მაგიერ და იტვირთე მოვალეობა ხალხის წარმომადგენლობისაო. ერთი უარ-ჰყო, შენ არ ხარ ჩვენის სურვილის გამომხატველიო; ხოლო მეორეს მიჰმართა: წადი და ჩვენ მაგიერ, თანხმად ჩვენის ინტერესებისა, ჰმართე ქვეყანაო. ხმა ერისა—ხმა ღვთისა: მის ხმას დაემორჩილა ყველა. გუშინდელი ბატონი და მბრძანებელი, დღეს მორჩილი და უბრალო მოქალაქეა; სამაგიეროდ გუშინ სრულიად უცნობი, დღეს გამოვიდა საზოგადო სარბიელზედ და ცხოვრების სათავეში ჩადგა.

რესპუბლიკელთა დასი სიხარულმა მოიცო. მთავრობა სიამოვნებით ატყობინებს ქვეყანას თავის გამარჯვებას, რესპუბლიკის დამყარებას; ბურჟუა დღესასწაულობს, არისტოკრატია მწარედ იცინის, მუშა ხალხი ალტაცებაშია. რა თქვა ერმა? რა მხრით გადახარა სასწორი მართლმსაჯულებისა? 300 დეპუტატი იყო ძველს პარლამენტში მომხრე რესპუბლიკისა. ერმა წელს 400 აირჩია. ამ ნაირად შესდგა უმრავლესობა მთავრობისა. ან-კი რატომ არ უნდა მომხდარიყო ასე? 20 წელიწადზედ მეტია რესპუბლიკა დამყარდა საფრანგეთში. სხვა დასები მედგრად იბრძოდენ, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ რესპუბლიკის დასამხობლად და მონარქიის აღსადგენად, მაგრამ ვერა გააწყვეს-რა. დღევანდელ არჩევანებმაც ჩვეულებრივი მიმართულება მიიღო, ძველს კალაპოტს არ დასცილებია. შესამჩნევი თითქო არაფერი მომხდარა.

მიუხედავად ამისა, წლევანდელი კენჭის ყრა დიდ ალაგს დაიჭერს საფრანგეთის ისტორიაში. ხალხმა სთქვა იმისთანა რამ, რაც აქამდინ არ უთქვამს. ერის გულში დაბადებულა და აღზრდილა ახალი მოთხოვნილება, რომელიც დღეს საჯაროდ აღიარებულ იქმნა.

მოვახსენებთ ყოველსა დაწვრილებით.

საფრანგეთის პარლამენტში სამი უმთავრესი დასია: მემარჯვენენი ანუ კონსერვატორ-რეაქციონერები (მონარქიელთა დასი); მემარცხნენი ანუ რადიკალები და პაწაწა ჯგუფი სოციალისტებისა. დანარჩენს უმრავლესობას შეადგენენ რესპუბლიკელ-ოპორტუნისტები. პირველი დასი, რომელიც შესდგებოდა 170 წევრთაგან, წელს თითქმის სრულიად დამარცხებულ იქმნა. 64 დეპარტამენტმა სრულიად ახლო არ მიიკარა, არც ერთი მათი კანდიდატი არ გაუთეთრებიათ. მთელს პარიჟში, სადაც 22 აგვისტოს 33 დეპუტატი იქმნა არჩეული, ძლივს ორი მოხვდა მემარჯვენეთა რაზმისა. დიდრონ ქალაქებში რადიკალი თუ სოციალისტი, რომელნიც მოცილეობას უწევდნენ რეაქციონერებს, ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. ლიონში, მარსელში, მონპელიეში, ბორდოში და სხ. მონარქიელებმა საკმარისი რიცხვი კანდიდატებისა ვერც-კი იშოვეს. სოფლებშიაც რესპუბლიკელები საშინლად ამარცხებდნენ კონსერვატორებს; მხოლოდ მივარდნილსა და მიყრუებულ კუთხეებში, სადაც ჯერ კიდევ ოდნავ შენახულა ძველი ტრადიცია, იპოვეს ბინა და 64 ადგილი ხელთ იგდეს. ბოლოს მაინც გაშავებულ იქმნა მათი მეთაური კასანიაკი და ბოლო მოეღო მთელს დასსაც. ამ ნაირად მონარქიელთა დასი დახურდავდა, დასუსტდა. ერმა უბრძანა მთავრობას: არ გვინდა მემარჯვენენი და ამიერიდგან რესპუბლიკას არავითარი განსაცდელი არ მოელის მონარქიელთაგან: რესპუბლიკა გამაგრდა, თავისი ძლიერი ფრთა გაშალაო.

ასე ამბობენ ეხლა აქ, მაგრამ ამ ძლიერებაში იმალება სისუსტეცა. საშიშარი გრიგალი ერთ მხარეზედ შესწყდა, მართალია, მაგრამ შესწყდა მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ადგილას ამოვარდნილიყო. რესპუბლიკელებმა მონარქიელებთან ბრძოლით გატაცებულებმა, ვერ შეამჩნიეს ახალი ძალა, ყლორტი ახალი ცხოვრებისა, რომელიც დღით-დღე იზრდება და ემუქრება მთავრობას და მასთან საბურჟუაზიო წეს-წყობილებას.

— რა ყლორტი, რა ძალაო? მკითხავთ. აი რა: მემარცხნეთა დასი ანუ რადიკალები, თუმცა ცალკე არიან გასულნი და საკუთარ სურვილისამებრ სჯიან და იქცევიან, მაგრამ მაინც უმთავრესს დანიშნულებათ მიაჩნიათ რესპუბლიკის დაცვა. ამისათვის ისინი ხშირად ხელს აწვდიდნენ ოპორ-

*) ჩვენგან დამოუკიდებელის მიზეზისა გამო, ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა.

რედ.

არსოს, რომელიც უფრო გამოსადეგი იქნება ჩვენთვისაო. ქობულეთის უფროსი ამ საქმეს დიდის თანაგრძნობით მიეგება და ზემოხსენებული თხოვნა მალე გარდასცა ბ-ნ ზაგაინს, ბათუმის „ოკრუგის“ უფროსს.

ბათუმიდამ უფროსი საჩქაროდ ავიდა ქობულეთში და მთხოვნელთ მადლობა გადუხადა კეთილის საქმის თაოსნობისათვის. მეორე დღესვე, უფროსის ბრძანებით, დაიბარეს მამასახლისები და მოთავე კაცნი ქობულეთისა.

დანიშნულს დღეს მოვიდნენ ყველა დაბარებულნი და გამოეცხადნენ უფროსს. უფროსმა აუწყა სკოლის გამართვის ამბავი და მადლობა გადუხადა ამ საქმის დამწყებთ. ხალხმა ჩოჩქოლი დაუწყო და უარჰყოფდა, სკოლა არ გვინდაო: ჩვენაო, ბატონო, ამბობდნენ თავი კაცები,—მეჩეთები ვერ გაგვიკეთებია და სკოლების გამართვა სად შეგვიძლიანო. დიდი ალიაქოთი ასტყდა; ხალხი ორ ნაწილად გაიყო და საქმე მაინც სკოლის დაარსებით გადაწყდა. ბოლოს სკოლის დაარსების თანხმა გახდნენ თვით ისინიც, ვინც პირველად წინააღმდეგნი იყვნენ ამ საქმისა. ამ საქმისთვის ბევრი შრომა და მეცადინეობა გასწიეს ზემოხსენებულმა ქართველ მაჰმადიანებმა გულო-აღა კაიკაციშვილმა და დედი-აღა ნიჟარაძემ. ხალხს ამათ ურჩიეს, ამათ ჩაგონეს სკოლის სიკეთე და ბევრი საგრძნობელი სიტყვა უთხრეს.

— არაო, დაიგრიალა ხალხმა: თქვენ ჩვენი გარუსება გინდათ, გვატყუებთო. თქვენი შვილები რუსის სკოლებში გყავთ, იმათთვის რუსული ქუდები დაგიხურნიათ და არუსებთ და ახლა გინდათ ჩვენც წაგვიტყუოთო.

საღამოს მაინც ხალხი დაშოშმანდა და დაჰყვა ნებას თავის გაგებულ წარმომადგენლებს. უფრო იმიტომ დაჰყვნენ ნებას, რომ პატივცემულმა გულო-აღა კაიკაციშვილმა ამ ჩინებულის საქმისთვის საკმარისად დიდი ალაგი შესწირა, ღირებული 500 მანათად. ეს ადგილი სძევს ქობულეთის მისავალში, ზღვის პირას, სადაც წინად სცხოვრობდა ალი ფაშა თავდგირიძე. ამ ადგილის შეწირვა დიდის სიამოვნებით იქმნა ადგილობრივ მთავრობისაგან მიღებული. შეწირვის ამბავმა აქაური მაჰმადიანები ძლიერ გააკვირვა და ყველა გაოცებული იყო, რომ გ. კაიკაციშვილმა ამოდენა ადგილი შესწირა. ამ მაგალითმა დიდად წაახალისა სოფლის ხალხი. შემწირველმა ადგილი ჩააბარა მთავრობას; მთავრობამ მზრუნველნი ამოარჩევინა თვით ქართველ მაჰმადიანთა შორის. ადგილი გაზომილ იქმნა და შემოსაზღვრული. შეწირულ ადგილის გვერდით დღეს მშვენიერს ბაღს აკეთებენ და ხალხს ჰსურს, რომ მომავალი სკოლაც საბაღოსნო სკოლა იყოს.

სკოლის შენობისთვის სოფლელებს მასალა შეეწირათ. ჯერ-ჯერობით ქვასა და კირს უკვე ზიდავენ. შემდეგ ხე-ტყის მოტანას დაიწყებენ და მერე საძირკველს ჩაჰყრიან. შენობა საკმარისად ვრცელი იქნება; ბავშვებისთვის დასაძინებელ ოთახებსაც აპირობენ სკოლასთან, რადგანაც სოფლის ყმაწვილებისათვის ყოველ დღე აქ სიარული ერთობ ძნელია, იმიტომ რომ ზოგიერთი სოფელი ქობულეთზე 10—30 ვერსის მოშორებით სძევს.

მთავრობის მხრით ბ-ნი ზაგაინი ქართველ მაჰმადიანებს დიდს დახმარებას დაჰპირდა. თქვენ შენობა გააკეთეთ და სწავლების ხარჯი მთავრობისა იქნებაო.

კრებაზედ ორიოდე სიტყვა ითქვა ქართულ ენის შესახებაც. რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები და თათრები, როგორც სხვები გვიწოდებენ, ამიტომ ვითხოვთ, სკოლაში ქართულ ენასა ასწავლიდნენ ყმაწვილებსაო. უფროსი დაჰპირდა ამ სურვილის შესრულებასაც. სკოლაში ხოჯაც ეყოლებათ სჯულისა და თათრულის წერა-კითხვის სასწავლებლად. უმეტეს საგნების სწავლება რუსულს ენაზედ იქნება. მაჰმადიანებს სურთ, რომ რუსული და ქართული ენა და წერა-კითხვა კარგად ისწავლებოდეს.

ქართველი მაჰმადიანები ჰფიქრობენ, რომ ამ საქმის გამო თხოვნით ჯერ თავიანთ მოწინავე ქართველ მაჰმადიანებს მიჰმართონ დახმარებისათვის და მერე ქრისტიან ქართველებს. ქობულეთის სკოლის სასარგებლოდ, როგორც ვიცით, „წერა-კითხვის საზოგადოებას“ აქვს 600 მან., სხვა-და-სხვა დროს შეწირული.

ქობულეთის სკოლაში სწავლა-მიღებულ ყმაწვილებს თავისუფლად შეეძლებათ შესვლა ახალციხის სატყეო სკოლაში, ტფილისის საბაღოსნო, სახელოსნო, სატეხნიკო, საშუალო სასწავლებლებში და სტავროპოლის გიმნაზიაში; ამ გიმნაზიაში აქაურებისათვის კარგა ხანია, ორი სტიპენდიანტის ადგილია დანიშნული. მაგრამ იქ აქამდის ამათგანი არავინ წასულა. მხოლოდ შარშან გადავიდა ზემოხსენებულ ქართველ მაჰმადიანის დედი-აღა ნიჟარაძეს შვილი, რომელიც ტფილისის I კლასიკურს გიმნაზიაში სწავლობდა. ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაშივე სწავლობს შვილი დღეს პატივცემულ მაჰმადიანის გულო-აღა კაიკაცისშვილისა. ამ ყმაწვილებს გარდა, ერთი ბავშვი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლაში სწავლობს და სამი ყმაწვილიც ბათუმის სამოქალაქო სკოლაში.

ქართულ წიგნების კითხვა მთელს ქობულეთში ვრცელდება ნელ-ნელა: ვაჭრებს დღეს დავთრები ქართულად აქვთ ნაწერი. ერთმანერთში მიწერ-მოწერაც ქართულად უფრო ეხერხებათ. ეხლა საქმე მამასახლისებზედაა დამოკიდებული. იმედია, რომ მამასახლისებშიაც დროით შემოვა ქართულად წერა, რადგანაც თათრულად მიწერ-მოწერის გამო დიდ გაჭირვებაშია ხალხი. ხშირად მთელს სოფელში ერთ კაცსაც ვერ ჰპოულობენ თათრულის მცოდნეს, რომ „მეჯლიშებიდამ“ თათრულად მოწერილი ქაღალდი წაიკითხოს.

ზ. ქ.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით შედგენილია და დაბეჭდილი ცნობათა კრებული შესახებ შინაურის მრეწველობისა და სია მრეწველთა. ამ კრებულის დაბეჭდვა პირველი ცდაა და შემდეგშიც თავთავის დროს იქმნება ხოლმე დაბეჭდილი ამისთანა წიგნი.

გზათა მინისტრის თაოსნობით გზათა ინჟინერ-სტუდენტებისთვის აგებულ იქმნება ცალკე შენობა, რომელშიაც იცხოვრებენ სტუდენტები. ამ შენობისთვის საძირკველს ჩაჰყრიან ოქტომბერში, ინსტიტუტის გვერდზედ. ჯერ-ჯერობით ამ შენობის ასაგებად შეკრებილია 300 ათასი მანათი.

ჟურნალ Церк. Вѣстн.-ს ჰკითხავს ერთი ხელის მომწერთ.

„თუ ბლაღოჩინს რაიმე ინტერესი აქვს რომლისამე საქმის ასე თუ ისე დაბოლოვებით, შეუძლიან ამ საქმეში ისე იმოქმედოს, როგორც თანამდებობის აღმასრულებელმა?“

—„არასოდესო“,—უპასუხებს Церк. Вѣстн.-კი. რასაკვირველია, სხვა პასუხი არც შეიძლებოდა, ხოლო საყურადღებო ეს პასუხი-კი არ არის, არამედ ისაა, რომ პროვინციაში ესეთი საკითხიც აღიძვრის ხოლმე.

ერთმა კითხვამ კიდევ ძალიან გააკვირა სასულიერო ჟურნალი:

„რა რიგად უნდა მიეგებნენ გუბერნატორს ეკკლესიაშიო?—ჰკითხავვილაცა.

— სავალდებულოა მიეგებნენ ზარის რეკით, ჯვარითა და აიაზმით, გალობით, სიტყვის წარმოთქმითა და მრავალჟამიერითაო?

ჟურნალი ამის გამო ამბობს:

«ვერ დავიჯერებთ, რომ იყვნენ ისეთნი გუბერნატორნი, რომლებიც ისეთს პატივისცემასა თხოულობდნენ, რომელიც იმათთვის არ არის დაკანონებული. ეკკლესიის-მიერ ორ გვარი მისაგებებელი წესია ცნობილი: მიგებება არქიელისა (1841 წ.) და იგებება ხელმწიფე იმპერატორისამ (1824 წ.).

Симб. Губ. В.-ი სწერს, რომ გასულ გაზაფხულს პერეზინის საზოგადოების სოფ. სუდოსევში შემდეგი ამბავი მოხდაო: ერთს ამ სოფლის გლეხს მთელის შვიდის წლის განმავლობაში ისე უწვალებია და უტანჯნია თავისი ცოლი, რომ ახალგაზდა, ჯან-საღი ქალი უდროოდ მოხუცებულა. ქმარი საშინლადა სტანჯავდა ცოლსა. მაგალითად, ერთხელ საბრალო ქალს ტანთ გახადა და ისე დასტოვა მინდვრად თოვლში; აგლეჯდა თურმე თმასა; ტიტველა დაჰყავდა ქუჩა-ქუჩა; მოსტეხა თითი ხელზედ; სცემდა მათრახითა და „როზგით“, დაუსახიჩრა სახე და სხვ. რამდენჯერმე უჩივლა საბრალომ თავის ქმარსა, მაგრამ ქმარი ყოველთვის ბოდიშს იხდიდა მის წინაშე, სთხოვდა მაპატიეო და ფიცს აძლევდა, არაოდეს აღარ გაწყენინებო. მაგრამ მერე მაინც თავისას არ იშლიდა და სტანჯავდა საბრალო ქალსა. ბოლოს ცოლმა კიდევ უჩივლა ქმარსა; ქმარმა სასამართლოში ტირილი დაიწყო, სთხოვდა მაპატიეო და ეტანებოდა ფეხზედ საკოცნელად. ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა მაინც აპატია მტარვალ ქმარსა და შეურიგდა, ხოლო ამასთანავე სთხოვა, თუ კიდევ მოინდომო ჩემი ცემა, ისე მაინც მცემე, რომ ცოცხალი აღარ გადავრჩეო.

## უცხოეთი

**ავსტრია.** თუმცა ავსტრიის მართებლობამ განსხვავებული საშუალებანი იხმარა ჩეხების შესახებ, მაგრამ ჩეხებს მაინც კიდევ იმოდენი თავისუფლება ჰქონიათ, რომ „გლას ნაროდა“-ს, რომელიც თავდაჭერილ და ზომიერ გაზეთად ითვლება, შემდეგი სიტყვების თქმა შესძლებია მართებლობის წინააღმდეგ.

„ძველ-ჩეხნი, როგორც ახალ-ჩეხნი, სრულიად არა ჰფიქრობენ, რომ გერმანელების ჩერჩეტულ სურვილს შესწირონ თავის ქვეყნის უფლება და სარგებლობა. ძველი დრო წარსულია და მობრუნება აწ იმ დროისა კიდევ უფრო საშიშ მდგომარეობაში ჩააგდებს ავსტრიის სამეფო ოჯახს“.

**გერმანიის** ჯარის აღლუმის დროს ელზას-ლოტარინგიაში ხელ-ახლად დაიწყეს ლაპარაკი მეცისა და სტრასბურგის შუა ციხე-სიმაგრეების აგების შესახებ. ბევრჯერ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ ეს საქმე აქამდე მაინც ვერ განხორციელდა უფულობისა გამო.

**შეერთებული შტატები.** ნიუიორკის გაზეთები იუწყებიან, რომ რამდენიმე კაცი შეთქმულა და განუზრახავთ პრეზიდენტ კლივლენდის

ტუნისტებს და ამ სახით ეს ორი დასი ერთ რაზმად გადიქცეოდა ხოლმე მონარქიელთა დასათრგუნვად. რესპუბლიკის განმტკიცება და სოციალური რეფორმები—აი რა იყო და არის დევიზი რადიკალთა. დღეს, რა-კი რესპუბლიკის მტერი საშინლად დამარცხდა, რადიკალთაც ერთი დიდი ზრუნვა და ტვირთი—რესპუბლიკის განმტკიცებისა—მოიშორეს თავიდამ. დარჩათ მეორე ზრუნვა: სოციალურ რეფორმების შემოღების საქმე. რა ნაირად უნდა მოეწყოს ერის ცხოვრება? როგორ გაუმჯობესდეს მუშა ხალხის მდგომარეობა? ამაზედ სხვა-და-სხვა ნაირ პასუხს იძლევა ორი დასი პარლამენტისა. ოპორტუნისტები და სოციალისტები, ანუ, როგორც აქ ეძახიან, კოლექტივისტები. პირველს ჰსურს დღევანდელი ყოფა-ცხოვრება არ შეირყას, ძირითადი ცვლილება არა მოხდეს-რა, მხოლოდ რეფორმებით დაედოს წამალი ტკივილს; მეორეს აზრით საჭიროა სრულიად მოისპოს ბურჟუაზიის მიერ დამყარებული წეს-წყობილება და საზოგადო (კოლექტიურ) საკუთრებაზედ აშენდეს მერმისი. როგორც ჰხედავთ, ეს ორი დასი შეურიგებელი მტერია ერთმანერთისა; ამათი დამეგობრება და დაკავშირება შეუძლებელია. აი ამათ შუა სდგას რადიკალი. რადიკალს არ მოსწონს, ერთის მხრით, კოლექტიური საკუთრება, მეორის მხრით, წესნი ბურჟუაზიულის ცხოვრებისა. მაშ რა გზას დაადგნენ? როცა ასეთი საკითხი გაუჩნდათ, რადიკალთა რაზმი დაიმალა და გაიყო ორად: ერთნი რესპუბლიკელებს მიემხრნენ, მეორენი—სოციალისტებს. პირველის მეთაური კლემანსო შეიქმნა, მეორესი გობლე. ამ სახით რადიკალთა ჯგუფმა მოგვცა ორი ფრაქცია: რადიკალ-რესპუბლიკანელნი და რადიკალ-სოციალისტები.

უეჭველია ამ გამოძიების მიზეზი თვით ერის ცხოვრებაშია. საფრანგეთი თანდათან იყოფა ორ, რიცხვით მეტ-ნაკლებ, ნაწილად: მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და მუშა. შუაზედ არავინ არ არის; შემაერთებელი ხიდი ჩატეხილია, მათი შერიგება შეუძლებელია. თანხმად ამ ნაირის ვითარებისა უნდა შეცვლილიყო, რასაკვირველია, პარლამენტის დასთა ურთიერთობა და რაოდენობაცა. რადიკალთა ნიადაგი წვრილფეხა ბურჟუაა. ცხოვრების განვითარება-კი ამ ნაწილს საზოგადოებისას ახურდავებს და სცვლის მის წევრთა ქონებრივ ურთიერთობას. ერთს ერთმევა ის, რაც აქვს და მუშად რჩება, მეორეს ემატება ის, რაც არა აქვს და შეძლებულ კაცთა შორის ირიცხება. უმრავლესობა, ამ გვარად, ნელ-ნელა ეშვება დაბლა, სიღარიბის მორევში, უმცირესობა ფეხზედ დგება და მიიწევს მაღლა, შეძლებულთა რაზმისაკენ. რამდენადაც წინ მიდის ეს პროცესი, იმდენად რადიკალთა დასს ფეხ-ქვეშ ეცლება ნიადაგი, ისპობა მიზეზი მისის არსებობისა და იძულებულია სხვა დასს მიემხროს. მაგრამ ეს პროცესსი ჯერ არ არის დაბოლავებული, დასრულებული. მხოლოდ წლევანდელ არჩევნებმა გამოაჩინა ნათლად ამ საქმის ვითარება. ავიღოთ ჯერ ქალაქები.

პარიჟში (22 აგვისტოს) გამოირკვა ორი უმთავრესი დასი: მუშა ხალხი და ბურჟუაზია. ამათ შორის მოხდა სასტიკი ბრძოლა, მედგარი შეჯახება. მხოლოდ ამათი კანდიდატები იყვნენ დასახელებულნი. რადიკალ-სოციალისტი ებრძოდა რესპუბლიკელს, რადიკალ-რესპუბლიკელი—სოციალისტებს, რესპუბლიკელ-ოპერტუნისტი—ყველას. იმ უბნებში, სადაც წინად კონსერვატორი კანდიდატი იყო მუდამ, წელს რესპუბლიკელი გამოიყვანეს, სადაც რესპუბლიკელი იყო—სოციალისტის კანდიდატი იდგა. 33 კანდიდატებში 19 სოციალისტი და რადიკალ-სოციალისტი გაათეთრეს, 10 რესპუბლიკელ-ოპორტუნისტი და რესპუბლიკელ-რადიკალი, 2 რეაქციონერი და 2 ეგრედ წოდებული „Raillié“ (ე. ი. ისინი, ვინც განსაკუთრებულ დასს არ წარმოადგენენ, მხოლოდ საქმის გადაწყვეტის დროს რომელსამე რაზმს ემხრობიან). ცნობილი რადიკალი ლოკრუა დაამარცხა რესპუბლიკელმა, რესპუბლიკელი მიუზე—რადიკალ-სოციალისტმა გობლემ, რადიკალი ფლოკე, ეს განთქმული დეპუტატი, მინისტრად ნამყოფი და სხვა საპატიო თანამდებობის აღმსრულებელი, გააშავეს და მის მაგიერად მრავალის ხმის უმეტესობით (2,000 ზედ მეტი ხმა) არჩეულ იქმნა სოციალისტი ფაბერს. სოციალისტებისა მხოლოდ ერთი კანდიდატი იქმნა გაშავებული. ამ გვარად პარიჟის ამომრჩევლებმა დაუპირდაპირა ერთმანეთს მხოლოდ ორი დასის კანდიდატი: რესპუბლიკელი და სოციალისტი, და გამარჯვებას ანიჭებდა ან ერთსა და ან მეორეს. ასევე მოხდა მარსელში, ლიონში, ბორდოში და სხვა პროვინციებში. ყველგან რესპუბლიკელს ებრძოდა სოციალისტი და ხშირად იმარჯვებდა.

საკვირველი იყო ამ ბრძოლაში ერთი გარემოება: კონსერვატორს რცხვენოდა თავის კონსერვატორობისა და ხშირად რესპუბლიკელის სახელით გამოდიოდა; რესპუბლიკელ-ოპორტუნისტს სცხვენოდა თავის ოპორტუნისტობისა და რესპუბლიკელ-რადიკალად გამოდიოდა; რესპუბლიკელ რადიკალი კიდევ—რესპუბლიკელ-სოციალისტად. ცხოვრება იმდენად შეიცვალა ამ ოთხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკვლა. ამბობენ, შეთქმულნი სამსახურიდგან გადამდგარი მხედარნი არიან, რომელთა გვარები პრეზიდენტმა მოშალა იმ სიიდგან, რომელშიაც ეწერა იმათი გვარები, ვისაც ხაზინიდგან პენსია უნდა მიეცეს.

—

**ინგლისი.** ნორმანმა განაცხადა, ვერ ვიკისრებ ინდოეთის ვიცე-კოროლობას, რადგანაც ჩემს თავს იმდონ ძალ-ღონეს ვერ ვამჩნევ, რომ შემეძლოს მაგისთანა დიდის და მძიმე თანამდებობის აღსრულებაო.

—

**საფრანგეთი.** მწერლობის წარმომადგენელთა კომიტეტის თავმჯდომარესა და მდივანს განუცხადა მორენჰეიმმა, რომ რუსეთის ესკადრა ტულონში იმ წესითვე უნდა მოვიდეს, რა წესითაც მოვიდა საფრანგეთის ესკადრა კრონშტადტშიო. ამ წესის შესახებ უნდა შეთანხმდნენ მორენჰეიმი და საფრანგეთის მთავრობა. ესკადრის მისვლის დროს ტულონში მორენჰეიმი იქ იქმნება, ისა და ადმირალი აველანი მოახდენენ უკანასკნელს განკარგულებას და შემდეგ მორენჰეიმი აველანს დაუთმობს მეთაურობას.

—

გაზეთი Deutshce Zeitung იუწყება, ავსტრიის პარლამენტის პირველი კრება რომ იქმნება, საპარლამენტო სასახლის წინ დიდი დემონსტრაცია გაიმართება და მუშა-ხალხი სთხოვს, პარლამენტში ჩვენს წარმომადგენბლსაც დაეთმოს ადგილიო.

---

რასა ჰგრძნობს ომში დაჭრილი? დაჭრილი კაცი ისე არ იტანჯება თურმე, როგორც სხვა შემთხვევით დასახიჩრებული. ეს იმითი აიხსნებაო, —ამბობს Санит. Дѣло, რომ ომის დროს ადამიანი მეტად გატაცებულია და აღგზნებული და ტკივილს თითქმის არა ჰგრძნობს. ისიც მოხდება ხოლმე, რომ უბრალო ჭრილობა, გაკაწვრაც-კი უფრო საგრძნობელია და უფრო აწუხებს კაცს, ვიდრე მძიმე სასიკვდილო ჭრილობა. მაგალითად: ერთს ჯარის კაცს ტყვია ზარძაყის სადსარში მოხვდა; დაჭრილი მშვიდად დადიოდა; მერე, სისხლი რომ დაინახა, მოაგონდა, წეღან რაღამაც მიჩხვლიტაო; ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა. მეორე ჯარის კაცს ტყვიამ ოდნავ გაუკაწრა კანი; იმას-კი მძიმედ დაჭრილი ეგონა თავი და, საცა ტანზედ ხელს დაადებდნენ, ყველგან ტყვია ეგონა. ერთმა ამერიკელმა გენერალმა ომი გადიხადა და მაშინ იგრძნო, სუსტად ვარო და გარდაიცვალა; სრულიად არ ახსოვდა, როდის და რითი დაიჭრა. მეორე გენერალს აგრედვე ამერიკისას ტყვიამ მარღვი გაუხვრიტა; იმან ვერ გაიგო და ჯარს განკარგულებას აძლევდა, ვიდრე სისხლით არ დაიცალა და ცხენიდგან არ ჩამოვარდა. ერთს არტილერიის კაპიტანს მტერი ზარბაზნებს ართმევდა, კაპიტანი გაუმასლაიანდა მტერს და დაიჭრა. ორმა მის ხელ-ქვეითმა დაავლეს ხელი კაპიტანს და წაიყვანეს. კაპიტანი ჰგრძნობდა, რომ ხელში აიყვანეს და მიჰყავთ, ხოლო ეგონა, მარტო თავი მიაქვთ და ტანი-კი იქ დამრჩაო—უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოახერხა, დაფიქრდა და ესეთს აზრს დაადგა: სულის ადგილი თავია და იმიტომ ვგრძნობ და ვფიქრობ, თუმცა ტანი მომაშორესო. ამ დროს ყელში ტკივილი დაუწყო და მთელ ტანში დაუარა. მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, რომ თავი ტანისათვის არ მოეშორებინათ.

საზოგადოდ ჰგონიათ, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი იტანჯება, ხელს გულზედ მიიდებს, ღრმად ისუნთქავს და ერთბაშად წაიქცევა და გაიჭიმება. ეს ტყუილია. სასიკვდილოდ დაჭრილი მოიკუნტება და, მომეტებულ ნაწილად, ისე მოკვდება, რომ ხელ-ფეხსაც არ გაანძრევს. ზოგი მკვდარი ისე დევს, თითქო ცოცხალიაო.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ Астр. Лист.-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ერთის სპარსელისა:

მე ტომით სპარსელი ვარ, შირაზში დაბადებული. ყმაწვილობისას შემთხვევით ევროპაში მოვხვდი და იქ გავიზარდე. შეძლება კარგი მქონდა და ამიტომ კარგს საზოგადოებაში ვცხოვრობდი; ვიყავ ლონდონსა, პარიჟსა და ვენაში. არც ერთს ამ ქალაქში არავინ დამცინოდა ჩამომავლობისა გამო: არც ქუჩაში და არც ჟურნალ-გაზეთებში არავის შევურაცხვენივარ იმის გამო, რომ სპარსელად დავიბადე, არავის დაუტრაბახებია ჩემთან, მე დასავლეთის კაცი ვარ და შენ აღმოსავლეთისაო. სულ სხვასა ვხედავ რუსეთის საზოგადოებაში და ჟურნალ-გაზეთებშიაც: თითქმის ყოველ დღე შეხვდებით ხოლმე ჩემს დაცინვასა და შეურაცხყოფას მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენსამე მერიდიონით აღმოსავლეთისკენა ვარ დაბადებული. თუმცა, სწორედ რომ სთქვას კაცმა, რუსეთის ერის ცხოვრება უფრო ჰგავს ჩვენს ცხოვრებასა, ვიდრე ევროპიელებისას, ზოგიერთ რედაქტორსა და გაზეთის თანამშრომლებსაც-კი მეტი ნაკლულევანება მოეპოვება, ვიდრე მე, თქვენს უმორჩილესს მონას (გთხოვთ ეს კადნიერება მაპატიოთ).

კიდევ კარგი, როცა გვიჩვენებენ ნაკლულევანებას სპარსელისას, ებრაელისას, ფინლანდიელისას, გერმანელისას, სომხისას და სხვ. მაგრამ ის-კი ვერ შემიგნია, როცა სრულიად უმიზეზოდ დასცინიან მთელს ტომსა. რუსეთში ძლიერ იციან უცხო ტომის დაცინვა. სპარსელს, მაგალითად „პერსიაშკას“ ეძახიან, ებრაელს— „ჟიდსა“, ფინლანდიელს — „ჩუხნასა“, სომეხს — „არმიაშკას“. გერმანელს — „ნემჩურასა“, ფრანცუზს — „ფრანცუზიკსა“ და სხვ. მართალია, ჩვენ ბევრი ნაკლულევანება გვაქვს: თქვენ ჩვენზედ ბედნიერნი ხართ, უფრო განათლებულნი, ჭკვიანნი, ზნეობა-განვითარებულნი, მაგრამ მგონია ჩვენში არავინ გაგკიცხავთ იმისთვის, რომ მაჰმადიანები არა ხართ, ბევრს არაყს სომთ, რომ ქერა თმა გაქვთ და სხვ. არც ჩვენს ქვეყანაში და არც ევროპის არც ერთს სახელმწიფოში არ გამიგონია იმდენი დასაცინი სახელები, რამდენიც რუსეთში. ჟურნალ-გაზეთიდგან, ეს სახელები ვრცელდება უბრალო ხალხში და ყველა სცდილობს დასცინოს, ან „პერსიაშკა“ დაგარქვას ან „ვოსტოჩნი ჩელავეკი“ და სხვ. ან არა და პირშიაც გაგლანძღავს და გაგათრევს. მაგალითად, მე ყოველ დღე ვშიშობ „...скій ...никъ“-ის წაკითხვას, რადგანაც ეს გაზეთი დღე ყოველ თითქოს მეუბნება: შენ „პერსიაშკა“ ხარ და მე-კი რუსი და ყოველისფერით შენა გჯობივარო. მართალია, რუსები ძლიერ მძლავრი და კარგი ხალხი ხართ, მაგრამ ჩვენც შეგვიბრალეთ და უმიზეზოდ ნუ შეურაცხგვყოფთ ხოლმე. ბოდიშს ვიხდი თქვენ შეწუხებისათვის და გთხოვთ ეს წერილი დამიბეჭდოთ გაზეთ Астр. Лист.-ში.

ალა-მაჰმედ-ყული-ოღლი, შირაზელი სპარსელი

---

## ბიბლიოგრაფია

—

ინგლისურს ენაზედ გამოვიდა ახალი წიგნი „დიდი ომი 189?“, შვიდ სამხედრო კაცთა-მიერ დაწერილი. წიგნში აწერილია მომავალი ომი ევროპიის სახელმწიფოთა შორის.

„ომს სერბია და ბოლგარია დაიწყებს მაშინ, როდესაც ბოლგარიაში პრინც ფერდინანდის მოკვლას განიზრახვენ; სერბიელნი ხელზედ იხვევენ ამ გარემოებას და თავს ესხმიან ბოლგარიას. ბოლგარელნი ფიცხლავ ამარცხებენ სერბიელებს დრაგომანთან. სწორედ ამ დღეს ავსტრია ბელგრადს იპყრობს. რუსეთი ულტიმატუმს უგზავნის ავსტრიას, ბელგრადს თავი გაანებე, თორემ მშვიდობიანობის დასაცველად მეც ვარნასა და ბურგასს დავიჭეროო: ავსტრია უარს უთვლის და რუსეთი ვარნას იჭერს. იმპერატორი, ამ ამბავს რომ შეიტყობს, წარმოსთქვამს ვრცელ სიტყვას, რომელიც ესე დაიწყება: „ბატონებო! ღმერთმან ინება, რომ გერმანიამ აღიღოს ხმალი თვის მოკავშირეს დასაცველად და ჩვენ უნდა აღვასრულოთ უზენაესი ნება უფლისა“... გერმანიის ჯარი შეიკრიბა და მიდის რუსეთის საზღვრისკენ; იმპერატორის სარდლობით რამდენიმე შებრძოლება მოხდა მოსაზღვრეთა შორის. ამას რომ პარიჟი შეიტყობს, აღელდება და ომს გამოუცხადებს გერმანიას. მაშინ იმპერატორი ვილჰელმი იტყვის, ჩემი ადგილი იქაა, სადაც უფრო დიდი შიში მოგველის და ეს შიში საფრანგეთის მხრივ არის და არა რუსეთისა, რომელსაც საქსონიის მეფე და მისი ძმა გიორგიც კარგად გაუმკლავდებიანო... გერმანელთ თითქმის უომრად დაიპყრეს ალექსანდროვი; რუსთა უზრუნველობისა და დაუდევრობის წყალობით, გერმანელთ ხელთ იგდეს 123 ვაგონი, 9 ლოკომოტივი და სხვა მოწყობილობა რკინის გზისა. ორ-სამ დღის შემდეგ დაამარცხეს ალექსანდროვთან რუსეთის ჯარი, რომლის მთავარ-სარდალი გურკოა· ხოლო ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც ამავე დროს დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ თავზარი დასცა და დაამარცხა სილეზიის ჯარი ჩენსტოხოვთან. მაგრამ საუბედუროდ, გავიდა ერთ კვირამდე და შეერთებული ჯარი გურკოსი და დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძისა საშინლად დამარცხდა სკერნევიცთან გერმანელთა ჯარის-მიერ, რომელსაც სარდლობდა საქსონიის მეფე. რუსთა დამარცხებულ ჯარს სხვა არა დარჩენოდა-რა გარდა იმისა, რომ ვარშავასთან მოეყარა თავი და მისცემოდა ფიქრს, ყოველივე „ამაოაო“. სწორედ ამავე დღეს ლუბლინთან ავსტრიელებმა დაამარცხეს გენერალ დრაგომიროვის ჯარი, რომელიც გურკოსა და დიდის მთავრის ჯარებისაკენ გაეშურა შესაერთებლად. ამ რიგად თითქმის ორ-კვირაში გერმანელებმა ბოლო მოუღეს რუსეთის მხედრობას დასავლეთ საზღვარზედ.

იტალიამ დაამარცხა საფრანგეთი გიერთან, ანუ, დაჭეშმარიტებით რომ ითქვას, კოსტებელთან, და დაამარცხა საშინლად. ხოლო ამ დამარცხებას იტალიისათვის სასურველი შედეგი არ ექმნებოდა, თუ ინგლისი არ ჩარეულიყო ომში და საფრანგეთის ფლოტი არ გაენადგურებინა ხმელთა შუა ზღვაზედ.

აღმოსავლეთისაკენ როგორღაა საქმეო?—უჰ, ძალიან ცუდად! მუხთარ-ფაშამ შეუბრალებლად დაამარცხა რუსეთის ჯარი არზრუმთან. ინგლისმა რომ შეუთვალა მუხთარ-ფაშას, მე დაგეხმარებიო, იმან უპასუხა: „საჭირო არ არის. მარტო მეც ვეყოფი რუსებსაო“. შემდეგ ინგლისის ფლოტი შავ ზღვაზედ გაჩნდა, ყუმბარა დაუშინა ვარნას და ხმელეთზედ, კოზლუჯთან, ისე დაამარცხა რუსები რომ ამისთანა დამარცხება არაოდეს' არ უგემნიათ. „ვერა სხვა სახელმწიფო ვერ შესძლებდა ესე სწრაფად ადვილად და წინ-დანახულობით გაენადგურებინა რუსეთის ჯარი, რომელსაც ძალა არაოდეს არ გამოელეოდა, თუ რომ შავი ზღვა ხელიდგან არ გამოსცლოდა.

იმპერატორი ვილჰელმი წავიდა საფრანგეთში. რამდენჯერმე დაამარცხა ფრანგები, აიღო რეიმსი. გერმანელნი პარიჟთან მივიდნენ დ ყუმბარები დაუშინეს. მაგრამ ფრანგთა ჯარი, გალიფეს სარდლობით, იდუმალად გამოვიდა პარიჟიდგან და გერმანელთა ჯარს ისე გაუხადა საქმე, რომ ალყა შემოახსნევინა და უკუ აქცია. ამ უკუ ქცევის დროს იმპერატორის ჯარი დიდად

---

წლის განმავლობაში, რომ ერს თავისი წარმომადგენელნი ეუცხოვა, წარმომადგენელს-კი შერცხვა თავის ამომრჩეველებისა. ამისათვის 211 სრულიად ახალი კაცი იქმნა არჩეული, რომელთაც პარლამენტის კარები ჯერ არ უნახავთ (გარდა ათიოდესი, რომელნიც წინად იღებდნენ მონაწილეობას პარლამენტში, მაგ. გობლე და სხვ.). რესპუბლიკელთა და მემარცხნეთა შორის 80 დეპუტატი გამოიცვალა, მემარჯვენეთა დასს 110 გამოსწირეს, 90 ამათი ადგილი სხვა დასებს ერგო, დანარჩენი 20 ადგილი ახალმა დეპუტატებმა დაიჭირეს. ამ ნაირად დეპუტატნი გადაარჩ-გადმოარჩიეს: ძველს ახალი მოუყენეს გვერდში და პარლამენტი განაახლეს. პარლამენტში შესდგა დიდი უმრავლესობა მთავრობისა. არჩეულ იქმნა 404 რესპუბლიკელი და რადიკალი, 79 რადიკალ-სოციალისტი და სოციალისტი, 29 „Raillié“ და 64 კონსერვატორი. როგორც სჩანს, უკანასკნელი ორი ჯგუფი სახეში არ არის მისაღები. მაშასადამე, საპარლამენტო ბრძოლა დანარჩენ ორ დასთა შორის იქნება აქ-კი ძალა მეტ-ნაკლებობით არის განაწილებული. 400 ხმას რა დაუდგება წინ? მაგრამ იქნება ამ რაზმის გაყოფა შეიძლებოდეს?

ამათ შორის ბევრია რადიკალები. ესენი ჯერ კიდევ სრულად ვერ მიჰკედლებიან რესპუბლიკელ-ოპორტუნისტებს და ცდილობენ თავისი საკუთარი ყველაფერი შეინარჩუნონ. მართალია, დასი ძლიერ დაზარალდა, აღარ ჰყავთ სულის-ჩამდგმელნი მეთაურნი ორატორნი: კლემანსო, ფლოკე, ლაკრუა, პიშონი და სხ., მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის იმისთანა საგნები რომლის გადაწყვეტა შეარყევს ოთხასის ერთიანობას, ე. ი. ცალკ-ცალკე გააწევინებს რადიკალთა და რესპუბლიკელთა. სოციალისტთა მეთაურმა ჟიულ გედმა უკვე აღნიშნა პროგრამა რეფორმებისა პარლამენტში წასარდგენად: მაგ. 1, დაარსება ინსპექციისა სახელოსნოებში; 2, აკრძალვა მუშათა დაჯარიმებისა ქარხნების პატრონთა მიერ; 3) დაკანონება დღეში 8 საათის მუშაობისა; 4, ერთის აზრის გაგება ანუ „Referendum“-ი იმ საგნების შესახებ, რომელთაც პარლამენტი უარ ჰყოფს დ სხ. და სხ.

ზოგ აქ მოხსენებულ მუხლს რესპუბლიკელი გააშავებს, რადიკალი გაათეთრებს. ამ შემთხვევაში რესპუბლიკელი-რადიკალი, რადიკალი-სოციალისტი და სოციალისტი ერთად დადგებიან და იერიშს მიიტანენ მოწინააღმდეგეებზედ. მაშინ მთავრობის უმრავლესობა უძლიერესობად გადაიქცევა, სოციალური რეფორმა დაკანონდება, მინისტრთა კრიზისი გაჩნდება და სხვ. აშკარაა, დღევანდელი უმრავლესობა უმრავლესობად დარჩება, თუ საქმე კონსერვატორთა წინააღმდეგობაზე მიდგა, ხოლო უძლიერესობად გადაიქცევა სოციალისტების ზოგიერთ წინადადების გადაწყვეტის დროს.

ახლა ვიკითხოთ: დასთა განაწილება შეესაბამება ერთს სურვილს? საზოგადოდ ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს არჩევანებში დასის დისციპლინას. ხშირად ხერხდება უმრავლესობის დამარცხება უმცირესობის-მიერ. ამის მაგალითი მრავალია საფრანგეთის წლევანდელ კენჭის-ყრაში. ყველაზედ უფრო სოციალისტთა დასი იყო მოკლებული დისციპლინას. ხშირად ყუთს უდგამდნენ ორ თავის კანდიდატს და მესამეს — მოწინააღმდეგეს. აქ ძალა ორად იყოფოდა და იმარჯვებდა მესამე. ასე მოხდა ლიონში, მარსელში, მონპელიეში დ სხვ. გერმანელ სოციალისტებივით რომ გაწვრთნილი ყოფილიყვნენ, დღეს პარლამენტში სოციალისტებს 79 დეპუტატი -კი არ ეყოლებოდათ, არამედ გაცილებით უფრო ბევრი. მეორეს მხრით, წელს სოციალისტებმა პირველად გამოიყვანეს თავიანთი კანდიდატი 40 დეპარტამენტში*) დ კენჭი უყარეს. მართალია, აქ ისინი იშვიათად იმარჯვებდენ, მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორ მარცხდებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში მოწინააღმდეგენი 200-400 ზედ მეტის კენჭით თეთრდებოდნენ. ზოგიერთ ადგილას სოციალისტების კანდიდატებს მოციქულე არ ჰყოლიათ, ასე რომ პარიჟის 7-8 უბანში მხოლოდ ამათ დაუდგეს ყუთი. ასე მოხდა ზოგ სხვა ქალაქებშიაც. ამ ნაირად, ეს დასი თან-და-თან ფეხს იკიდებს და ძლიერდება საფრანგეთში. დისციპლინას შეიძენენ გამოცდილებით, მათი მომხრე ამომრჩეველნი გამრავლდებიან თვით ცხოვრების საეკონომიო ვითარების გამო. ამისათვის რადიკალი ლაკრუა დღესვე ვარაუდობს, რა ფერიც დაედება მომავალს არჩევანებს: იმის აზრით, პარლამენტში უმრავლესობა სოციალისტთა დასისა იქმნება.

კიდევ ვიკითხოთ: რა სთქვა ერმა ახალი? მთავრობას უთხრა: მარიე ქვეყანა თანხმად უმწვერვალეს მემარცხენეთა აზრისაო. ამ გვარად, თუმცა რესპუბლიკამ მიწასთან გაასწორა და გაანადგურა კონსერვატორთა დასი, მაგრამ მეორე მხარეს იკრიბება ახალი მისი მტერი. მდიდარი თუ ღარიბი, ბურჟუა თუ მუშა? აი რა გადასაწყვეტი საგანი წამოაყენა წლევანდელმა კენჭის ყრამ. რესპუბლიკა დაუპირდაპირდა მეორე მტერს. ვინ გაიმარჯვებს ამათში, ამას მომავალი გვიჩვენებს...

საზღვარ-გარეთელი

*) მაგ. ვარა, ტულონი, ლუარა, ნორდი, სედანი, ბორდო და სხვ.

დაზიანდა და ბოლოს ხომ საშინლად დამარცხდა შალონთან. გერმანელებმა სრულიად გული აიყარეს მეფესარდალზედ და იძახოდნენ: „ნეტავ ერთის დღით მოლტკე მოგვცაო!“ მაგრამ მოლტკე ვერ აღსდგა მკდვრეთით...

ომის შედეგი: ფრანგები დარწმუნდნენ, რომ რუსეთს ძალა არა აქვს, და, თუმცა თვითონ გაიმარჯვეს, მაგრამ მარტოდ-მარტო ომის განგრძობა ველარ მოახერხეს. ამისთვის საზღვრები საფრანგეთსა და გერმანიას შორის, როგორც ომის დაწყებამდე იყო, ისევ ისე დარჩა. რუსებმა ხვეწნა დაიწყეს შევრიგდეთო, და მშვიდობიანობა ებოძათ მეტად სამარცხვინო პირობით: პოლონელთა სამეფო აღდგენილ აქმნა ჩრდილო და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებითურთ. ინგლისმა ავღანისტანი დაისაკუთრა და საფრანგეთის რამდენიმე ახალშენი შეიძინა...

## გამოსადეგი ცნობანი

ბულიონი ავადმყოფთათვის ასე უნდა მომზადდეს: გირვანქის მეოთხედი კარგი რბილი ხორცი უნდა დაიკეპოს, ჩაიდოს რამდენსამე წამით ცოტა მარილწყალში; შემდეგ ქვაბში გადიდოს, შტოფის მეოთხედი რძე დაესხას და მოიხარშოს. როცა მოიხარშება, გაიწუროს და ავადმყოფს ცხელი მიერთვას.

ამ ნაირად გაკეთებული ბულიონი ძალიან გემრიელია. საქონლის ხორცის მაგიერ ხბოს ხორციც შეიძლება და წიწილაც.

## სასამართლოს მატიანე

Нов. Вр. იუწყება, რომ სისხლის სამართლის კანონში ერთი ცვლილება უნდათ მოახდინონ:

სისხლის სამართლის კანონში არ არის ნათქვამი, რომ საქმის გარჩევის დროს შეიძლება წაკითხულ იქმნას ბრალდებულის ჩვენება, რომელიც გამომძიებელს ჩამოურთმევია. საკასაციო დეპარტამენტმა სენატისამ ისე განმარტა ეს კანონი, რომ საზოგადოდ ამ ჩვენების წაკითხვა არ შეიძლება, ხოლო საჭიროება მოითხოვს წაკითხულ იქმნას ჩვენება: 1 გარდაცვალებულის ანუ გარდახვეწილის ბრალდებულისა, როცა სხვა ბრალდებულთა საქმე ირჩევა; 2, იმ კაცთა, რომელთაც ბრალი ედებათ, ხოლო სისხლის სამართალში არ იყვნენ მიცემულნი: 3, იმათი, რომელთაც ჰბრალდებათ დანაშაულობაში მონაწილეობის მიღება, ხოლო მათ შესახებ საქმე ცალკე სწარმოებს; და 4, იმ კაცთა, რომელთაც სასამართლომ სა!ჯელი უკვე განუჩინა ანუ გაამართლა პირველ განაჩენით და საქმე ხელმეორედ ირჩევა სხვა ბრალდებულთა შესახებ, რადგანაც პირველი განაჩენი კასსაციის წესით გაუქმდა. ამ რიგად საქმის გარჩევის დროს არ შეიძლება ბრალდებულის ჩვენების წაკითხვა, თუ თვითონ არა სთხოვა სასამართლოს. ხოლო სხვა გზით-კი გამოცხადდება ხოლმე პირვანდელი ჩვენება ბრალდებულისა, რადგანაც ან გამამტყუნებელ ოქმში ჩაურთულის ჩვენებას, ანუ, მის ნაცვლად, სამოსამართლო პალატის დადგენილებაში. ამ რიგად ნაფიცნი მსაჯულნიც იგებენ ჩვენების შინაარსს. ამ შემთხვევაში, თუ ოქმში სწორედ არ არის ამოწერილი ბრალდებულის ჩვენება, სასამართლო შემცდარ აზრს შეადგენს. მეორე მხრივ, რაც-კი ბრალდებულს სასამართლოს გარეშე უთქვამს რამე, ყოველივე შეიძლება სამართალს მოხსენდეს. მაგალითად, ბრალდებულის კერძო წერილებსა კითხულობენ, სადაც იგი გამოტეხით აღვიარებს თავის დანაშაულს; ანუ პოლიციის მოხელენი, მოწმად მოწვეულნი, დაწვრილებით უამბობენ სასამართლოს საქმის გარემოებას და იმასაც, თუ რა ილაპარაკა დამნაშავემ იმათ წინაშე.

ეხლა ისე აპირობენ ამ კანონის შეცვლას, რომ სასამართლოს ნება ექმნება ბრალდებულის პირვანდელ ჩვენების წაკითხვისა.

## პეტერბურგის ბირჟა, 15 სექტ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | —,, | —,, | 7,68 |
| ტამოჟნის კუპონები | —,, | —,, | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | —,, | —,, | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 241 |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 218 |
| 4% მესამე სესხისა. . | —,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | —,, | —,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | —,, | 100½ | —,, |
| 5%. . . . . . | —,, | 100 | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | —,, | 100¼ | —,, |
| 5%. . . . . | —,, | 100 | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | 98½ |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალ-

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში. ქე ახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

# განცხადებანი

ტფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემული წიგნი:

„საქართველოს მოკლე ისტორია“

თხზ. საქართველოს ბატონიშვილის დავითისა

კ. ნ. ბეგიჩევის წინასიტყვაობით

(რუსულ ენაზედ)

ფასი 80 კაპ., გაგზავნით 1 მან.

დაბეჭდილი არის მეტად ცოტა ეგზემპლიარი

(2—965—1)

**ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან**

ქვემორე ამისი მოხსენებული ყმაწვილები მიღებულ იქმნენ პირველ მოსამზადებელს სკოლაში, მაგრამ, არ-კი გამოცხადდენ:

1) ვაჩნაძე იოსებ დავითის ძე 2) ვაჩნაძე ივანე ალექსანდრეს ძე 3) ვაჩნაძე ესტატე ალექსანდრეს ძე 4) ვაჩნაძე ადამ იოსების ძე 5) ჯორჯაძე სპირიდონ ივანეს ძე 6) ჯანდიერი-ჩოკაევი ირაკლი დავითის ძე 7) ჯაფარიძე გიორგი მიხეილის ძე 7) ორჯონიკიძე ვლადიმერ ნიკოლოოზის ძე 9) ორჯონიკიძე გიორგი კონსტანტინეს ძე 10) ფურცელაძე გიორგი ლავრენტის ძე 11) ფირადოვი ვახტანგ ლევანის ძე 12 სულახანიშვილი ყარამან ივანეს ძე 13) ციციშვილი ვასილ გრიგოლის ძე 14) ციციშვილი გიორგი დავითის ძე

ეს ყმაწვილები, ვიმეორებთ, მიღებულნი არიან სათავად-აზნაურო სკოლის პირველს განყოფილებაში გარედგან მოსიარულე მოწაფეებად და თუ ამ ენკენისთვის 30 რიცხამდის არ გამოცხადებიან, მათ ადგილს დაიჭერენ სხვა ბავშვები, რომლებიც კანდიდატებად არიან ჩარიცხულნი.

რ. (2—2)

ბებია

მარიამ ივანეს ასული

**დემურიასი**

გადმოყვანილ იქმნა ლენქორანიდამ (ბაქოს გუბერნია) ტფილისის მესამე განყოფილების ბებიად.

ადრესი: სამების ვიწრო ქუჩა, № 9. (3—960—3)

**მ. მურტაზი**

დაბრუნდა კოჯრიდგან და ინგლისურ ენას ასწავლის მსურველთ. იმის სისტემით ძალიან მალე შეიძლება შეითვისოს გამოთქმა ინგლისურის სიტყვებისა, როგორც უკვე იცისყველამ, ვისაც მასთან უსწავლია. ადრესი: ლაბარატორის ქუჩა, ხალათოვის სახლის ეზოში. (3—959—3)

**გამოსადეგი ცნობანი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7½—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**პანსიონი ტერ-აკოფოვისა**

გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის ოთხის კლასის კურსით

გადავიდა განოვის ქუჩაზედ, № 11, საკუთარი სახლი

იუვანს შეგირდებს მოსამზადებლად **გიმნაზიებსა, რეალურ სასწავლებლებსა და კადეტთა კორპუსებში** მეოთხე კლასამდე, **მიწის მზომელთა და იუნკრების სასწავლებლებში** მისაღებად.

პანსიონთან არის საყმაწვილო ბაღი.

პანსიონში ასწავლიან გიმნაზიის მასწავლებლები.

(8—950—6)

**ა. რალლე და კომპ.**

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

**აპონური საპონი**

**„მუსმე“**

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.

**„ნევის კაპრიზ“**

**დუხები**—„ნევის კაპრიზი“

**ოდეკოლონი**—„ნევის კაპრიზი“

**საპონი**—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—11)